საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1715 2016 წლის 24 აგვისტო ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ადიგენის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №330 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის მეორე პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სსიპ -სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 17 აგვისტოს №5/42746 გადაწყვეტილება დაბა ადიგენში, ჭავჭავაძის ქუჩა №2-ის მიმდებარედ არსებული 2760.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (პარკის ტერიტორია) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №61.05.21.226) ადიგენის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**